

მაძიებლობის მითოლოგემა ტომას ელიოტისა და გრიგოლ რობაქიძის
ნაწარმოებებში „უნაყოფო მიწა“ და „მცველნი გრაალისა“

თამარ ბერულავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბერულავა 30.12.2018

აბსტრაქტი

გასული საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ ევროპის შემოქმედებით ასპარესზე ახალი მიმდინარეობის - მოდერნიზმის გამოჩენა აღინიშნება. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა სულიერმა და ფიზიკურმა კრიზისმა გადამწყვეტი გარდატეხა მოახდინა ესთეტიკის დასავლური ნორმების გადაზრებაში, რაც მკაფიოდ აისახა ტ.ს. ელიოტის პოემაში „უნაყოფო მიწა“. გარკვეულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა გარემოებებმა გავლენა იქონიეს ქართული მოდერნიზმის ჩამოყალიბებაში, რომლის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია გრიგოლ რობაქიძე და მისი რომანი „მცველნი გრაალისა“ დავასახელოთ. წინამდებარე ნაშრომი ეთმობა ქართული და ევროპული მოდერნიზმის გამორჩეული ტექსტების „უნაყოფო მიწისა“ და „მცველნი გრაალისას“ ანალიზსა და მათ შედარებას. კვლევის მეთოდად გამოყენებულია კომპარატივისტიკის, ახალი კრიტიკისა და ახლო კითხვის მეთოდი.

ზემოთაღნიშნული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მითოსური აზროვნების როლი დასავლურ და ქართულ მოდერნიზმში. მაძიებლობის მოტივმა, კერძოდ კი წმინდა გრაალის ირგვლივ არსებული ლეგენდების საყოველთაოობამ ტ.ს. ელიოტსა და გრიგოლ რობაქიძეს მისცა უნიკალური შესაძლებლობა თავიანთი ნაწარმოებები ზოგადსაკაცობრიო მითოსურ არქეტიპებზე აეგოთ და ამ გზით გამოეხატათ ავტორისეული მიზნები. კვლევის საფუძველზე გამოაშკარავდა არაერთი სხვაობაც, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური, კულტურული და სოციალური თავისებურებებით კერძოდ, თუკი ტ.ს. ელიოტის პოემაში „უნაყოფო მიწა“ გრაალის ძიება წარუმატებლად სრულდება და მისი თანამედროვე ცივილიზაციის ხსნა გამორიცხულია, გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრაალისა“ არსებობს იმედი, რაც მკითხველს აძლევს საშუალებას ეროვნული კეთილდღეობის დაბრუნება ირწმუნოს. შესაბამისად, მიუხედავად საერთო მოტივისა, ზემოთაღნიშნულ მხატვრულ ტექსტებში ის სხვადასხვაგვარად ვითარდება, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებული ავტორთა

განსხვავებული პათოსითა და შეხედულებებით. ოპტიმისტური განწყობა, რომელიც სჭვალავს გრიგოლ რობაქიძის რომანს „მცველნი გრაალისა“ განპირობებულია ავტორის უსაზღვრო პატრიოტიზმით, გმირის ადამიანური და ზეადამიანური ძალის რწმენით, რაც ტ.ს. ელიოტის პოეტურ ქმნილებაში არ შეიმჩნევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტ.ს. ელიოტი, „უნაყოფო მიწა“, გრიგოლ რობაქიძე, „მცველნი გრაალისა“, წმინდა გრაალი, მაძიებლობის მითოლოგემა.

Abstract

In the 1920's a new artistic movement, later known as modernism was marked in the aesthetic history of Western Europe. The Spiritual and physical crisis which was caused by the World War played a major role in reconsidering fairly common aesthetic norms which were instantly reflected in 'Waste Land' by T.S. Eliot. Particular political and social circumstances impacted on the formation of Georgian modernism whose decent illustration is Grigol Robakidze and his novel 'The Guradians of Grail'. The following thesis is aimed at comparing and analyzing Georgian and European modernism based on two respectfully distinguished works of literature: 'Waste Land' and 'The Guardians of Grail'. Therefore, the methods of Comparativism, New Criticism and Close Reading have been opted to be utilized in the paper.

The analysis of previously mentioned works of literature clarified the solid role of mythic consciousness in both Western and Georgian modernism. Quest motif and more precisely the legends surrounding the Holy Grail enabled T.S. Eliot and Grigol Robakidze to base their works on worldwide mythic archetype and express their aesthetic purposes this way. A very close analysis elicited several differences between 'Waste Land' and 'The Guardians of Grail' which were determined by political, cultural and social dissimilarities. To be more accurate, in 'Waste

Land' the quest of the grail is foredoomed to failure which applies the futility of the attempts to save western civilization, whereas 'The Guardians of Grail' asserts the hope to retrieve national well-being. Thus, despite the similarity of motif and because of the authors' different outlook and pathos, the quest for the Grail is assumed differently in 'Waste Land' and 'The Guardians of Grail'. Optimistic attitude in which Grigol Robakidze's novel is steeped and which is mainly triggered by the author's immense sense of patriotism cannot be noted in 'Waste Land' by T.S. Eliot.

Key words: T.S. Eliot, 'Waste Land', Grigol Robakidze, 'The Guardians of Grail', Holy Grail, Quest Mythologeme.